ახალი გაზეთიადი

,,მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული,,

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა. განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 29 მაისი №5 (8204) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

მუხრან მაჭავარიანი

ცაშვილს რომ ვლაში მაძლევს
ბოლომე
მამულზე ფიქრი,
ცანლაცხან
...გულში ლიმილით ვიცოცი: -
რა ქიმი ჯყოს ცაქმეა ნიცა,
მამულო ქიმი,
გილობინს თუ გიჯირს! -
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანლა რომელი მცაჯული მინა!
ჭაცხოსლი მოიცვე,
ვითარცა ციცოვა,
ვინც ყი ლა რაც ყი ანიგებინს
ერგვლივ, -
იბოვლებს ბოლომე,
იბოვლებს ერთხმალი -
ლალლაცა მაგგვარი
ფიქრი!

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება გაიმართა ქალაქის ცენტრში, ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის მიმდებარედ.

გამოიფინა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების და ნახატების გამოფენა-გაყიდვა;

გაიმართა ადგილობრივი ქორეოგრაფიული და სიმღერის ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი;

პარალელურად მიმდინარეობდა სპორტული აქტივობები მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება დღის ბოლოს დასრულდა გალა კონცერტით (ზუკა ხუციშვილი და ბენდი).

ერთად ვიზეიმეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე /მნიშვნელოვან შეხვედრებს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში./

გამოიწერეთ გაზეთი ,,ახალი განთიადი,,! გახლით ჩვენი მოითხოვილი!

რა გაკეთდა?

შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევია, რომ კასპის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაა, როგორც ქალაქში ასევე სოფლადაც. ასფალტირებულმა გზებმა შეცვალა ქალაქისა და სოფლების იერსახე, თუმცა, სასურველ შედეგამდე მისვლა, კარგად მოგვეხსენება, დროში გავრცობილი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს

მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად ცდილობს ყველა სოფელში მისასვლელი გზის კეთილმოწყობას, რათა მოსახლეობამ გადაადგილება კომფორტული და უსაფრთხო გზით შეძლოს.

2023 წელს კასპის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირდა 19 345 გრძივი მეტრი გზა, რომელზეც დაიხარჯა 7 706 630 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო მუნიციპალიტეტის 6 სოფელში: მაღალმთიან სოფელ გუდალეთის და აღაიანის II ეტაპის, გამდლისწყაროს, კალოუბნის, თოგოიანის მისასვლელი და ოკამის ბეტონის გზები.

ქალაქ კასპში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო 11 ქუჩაზე, მათ შორის 2024 წელს გაგრძელდა 2 ქუჩაზე: გიორგი სააკაძის დარჩენილი მონაკვეთი, წერეთლის, გორგასლის, გრიშაშვილის, ხეთაგუროვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების -112 -ის ეზო, თამარ მეფის ასფალტ-ბეტონი. ვარჯაანის დასახლებაში 5 ქუჩის: აჭარის, ქართლის, თბილისის, ბარათაშვილის, კახეთის - პროექტი გარდამავალი იყო, პირველ ეტაპზე 3 ქუჩის რეაბილიტაცია განხორციელდა, 2 ქუჩის რეაბილიტაცია კი გაგრძელდა და დასრულდა 2024 წელს. ყველა პროექტი დაფინანსდა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ.

ქალაქ კასპში გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

ქალაქ კასპში გორგასლის ქუჩაზე მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი.

1003 გრძივი მეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შპს "ენდი როუდი"-მ განახორციელა.

აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა.

გრიშაშვილის ქუჩაზე

ქალაქ კასპში, გრიშაშვილის ქუჩაზე 619 გრძივი მეტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს "ჩაგელა"-მ განახორციელა.

ქუჩაზე მოეწყო რკინა-ბეტონის კიუვეტები ცხაურებით, ბეტონის ბორდიურები, ეზოში შესასვლელები და ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი.

გზით მოსარგებლეები მოწესრიგებული ქუჩით გადაადგილდებიან.

საკაკაძის ქუჩაზე

ქალაქ კასპში, გიორგი სააკაძის ქუჩა ასფალტ-ბეტონის საფარით მოეწყო.

აღნიშნული ქუჩის ნაწილი ასფალტირების გარეშე იყო დარჩენილი და აუცილებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები შპს "ჩაგელამ" განახორციელა. ორფენიანი ასფალტის დაგების, სანიაღვრეების და საფეხმავლოების მოწყობის შემდეგ მოსახლეობა მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობს.

გურამიშვილის ქუჩაზე

კასპში, ქალაქის მთავარ სასაფლაოზე მისასვლელი გურამიშვილის ქუჩა შპს "ქვენიფლენმა" ასფალტის საფარით მოაწყო.

ქუჩის რეაბილიტაცია მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე განხორციელდა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა.

გურამიშვილის ქუჩით მოსარგებლეები კეთილმოწყობილი გზით გადაადგილებიან.

წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია

2021 წელს წერეთლის ქუჩა ნაწილობრივ მოასფალტდა, რადგან მიწისქვეშა კომუნიკაციები მოსაწესრიგებელი იყო.

2022 წელს კომუნიკაციების სრულად მოწესრიგების შემდეგ შესაძლებელი გახდა ქუჩის სრული რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "დინგრუპს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც კასპში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტებას ითვალისწინებდა.

სამუშაოები 1 500 გრძივ მეტრზე განხორციელდა, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობისა და ტრანსპორტის კომფორტული გადაადგილება.

მოეწყო ჩასასვლელი ჩიხები

ქალაქ კასპში, ნინოშვილის ქუჩის და კოსტავას ქუჩიდან მერიის შენობის მიმდებარედ ჩასასვლელი ჩიხების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

ჩასასვლელი ჩიხების მოწყობის სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ბინამ" აწარმოა.

განხორციელდა არმირებული ბეტონის სამუშაოები, მასზე საფეხმავლო ბილიკი, შემდეგ ჩასასვლელი კიბეები და მოაჯირები მოეწყო.

ეზოს დამცავი კედლის მოწყობა

ქალაქ კასპში, კოსტავას ქუჩა №16 -ში ეზოს დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

მრავალსართულიანი ბინის არსებული დამცავი კედელი ამორტიზებული და საშიშროების შემცველი იყო. მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით კედლის მოწყობის სამუშაოების ტენდერი გამოაცხადა.

სამუშაოები განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ვერბალ გრუპმა".

ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში, ე.წ. "ქარწისის" დასახლებაში ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი მოასფალტდა.

1 480 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია შპს "ქვენიფლენმა" შეასრულა.

ხეთაგუროვის ქუჩის ძირითადი მისასვლელი აღმართი 2021 წელს მოეწყო, პარალელურად კი ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა.

დასახლებაში ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა და მოსახლეობა გადაადგილებისას დისკომფორტს განიცდიდა. პროექტის განხორციელებამ უზრუნველყო მათი კომფორტული გადაადგილება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

“ვიმღერია, ყველაც ვიმღერით ჩვენს ცხოვრებას მრავალფერადმიერსა”

კასპის სალოტბარო სკოლის საქმიანობის ერთგვარ შემაჯამებელ ანგარიშს ქვემოთ შემოგთავაზებთ. მას ერთი ცინცხალი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების კონსტატაციით დავიწყებთ, რომლის გამართვას ადასტურებს მისივე ლოტბარ-რეგენტი თორნიკე მერაბიშვილი:

– საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი ხდება პირველად!

2024 წლის 28 მაისს ქ. თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში გაიმართება გრანდიოზული გალა-კონცერტი. იგი საუბილეოა, მათი დაარსების ათიწლისთავს ეძღვნება და, ამდენად, საფესტივალო დათვალიერებას წარმოადგენს.

საქმე ისაა, რომ მონაწილეობას 500-მდე (!) მოსწავლე მიიღებს ქვეყნის ყველა კუთხიდან. ნამდვილად შთამბეჭდავი რაოდენობაა. გალა-კონცერტის პროგრამის ფარგლებში ისინი წარმოდგებიან ეროვნული ფოლკლორის, ჭეშმარიტი საგანძურის, გამორჩეული და განსაკუთრებული, პოპულარული თუ შედარებით უცნობი, “ცოცხალი” ნიმუშებით. მათ ნამღერ-ნაგალობევზე უკეთესს ვერას მოისმენს მელომანისა თუ უბრალო გულშემატკივრის ყური.

აღსანიშნავია ჩვენთვის საამაყო მომენტი:

28 მაისის თბილისური ტრადიციული სიმღერისა და გალობის გალა-კონცერტზე გამოვლენ კასპის მუსიკალურ ცენტრთან არსებული სალოტბარო სკოლის მოსწავლეებიც.

✦ 2015 წლიდან დღემდე:

არასრულ ათწლიან ისტორიას მოიცავს საბავშვო სალოტბარო სკოლების არსებობა. ცხრა წელზე ოდნავ მეტი ხნის წინ შეიქმნა საქართველოში სალოტბარო სკოლების პირველი ჯგუფი.

ეს მოხდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. კარგ საქმეს ესენი მოთავეობდნენ. ქვეყნის მასშტაბით კი მხარდამჭერ მოაზრეებად გამოვიდნენ სახელისუფლებო თვითმმართველები. ფინანსური შემწეობა ორივე მხარემ უზრუნველყო – ცენტრმაც და მუნიციპალურმაც.

დროთა განმავლობაში კეთილნერგმა იხარა, იხეირა და, თანდათან, სკოლების რაოდენობამ მოიმატა. ამჟამად საქართველოს მასშტაბით სალოტბარო სკოლები 33 მუნიციპალიტეტში მოქმედებს.

✦ კეთილშობილური მისიისათვის მოწოდებული მიზანი:

საქართველოში ასეთი სკოლების არსებობისა და საქმიანობის დანიშნულების ორიენტირი, მართლაც, აღებულია ზნეკეთილი საქმისათვის. კერძოდ, ჩვენმა მოსწავლეახალგაზრდობამ ფართოდ გაიცნოს, შეისწავლოს და შეიყვაროს ხალხური შემოქმედება; შედგნენ

აქამდე შემონახული ტრადიციული სიმღერისა და გალობის მსახურების გზაზე; გახდნენ მღერა-გალობის კვალიფიციური სპეციალისტები და ეს სახელოვნებო მიმართულება სულაც პროფესიად აირჩიონ! თუნდაც, დარჩნენ, მის მოყვარულებად, გულშემატკივრებად, კარგ შემსრულებლებად, სხვათა ოსტატობის თაყვანისმცემლებად. ეს, განა, ცოტას ნიშნავს?!

✦ კასპის სალოტბარო სკოლის ისტორიისათვის:

აღსანიშნავია, რომ ქ. კასპში სალოტბარო სკოლა მშრალ ნიადაგზე არ შექმნილა, მაგრამ, როგორც ასეთი, ზუსტად 2015 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად მას სათავეში ჩაუდგა ზაზა მენაბდიშვილი – კასპელი პროფესიონალი მუსიკოს-შემსრულებელი, პედაგოგი და ლოტბარი (მასთან ერთად პედაგოგობდა ეკა ყაზარაშვილი).

გასული პერიოდის განმავლობაში არაერთმა ადგილობრივმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, ბიჭუნამ და გოგონამ შეაღო მუსიკალური სამყაროს ჯადოსნური კარი და ეზიარა მღერა-გალობის ანდამატს, ანა-ბანას, გაიწაფა და დაოსტატდა, სიმღერა აირჩია ცხოვრების მეგზურად.

ცხადია, უპრიანი იქნება წარმატებული ახალგაზრდების ვინაობის ჩამოთვლა: ხატია მამულაშვილი (თავის უმცროს ძმასთან ერთად), დები ტყემალაძეები, გიორგი ჯავახიშვილი, ამირან მელაძე, აჩიკო მიგრიაული, გიორგი გაბისიანი, სანდრო ყაზარაშვილი...

სალოტბარო სკოლის გუნდის წევრთა შერჩევის, შეჩვევის, ფეხზე დადგომისა და პირველი საკონცერტო წარმატებების, სარეპერტუარო ნომრების დახვეწისა და გამრავალფეროვნების თითქმის შვიდწლიანი მუშაობის შემდეგ, სკოლის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა – 2022 წლის მარტში – მის ლოტბარ-რეგენტად დაინიშნა ახალი კადრი თბილისიდან – თორნიკე მერაბიშვილი, პროფესიონალი მუსიკოსი და დირიჟორი.

✦ ბიოგრაფიული შტრიხები პედაგოგის შემოქმედებითი პორტრეტისათვის:



2014 წლიდან არის საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი “ბასიანის” წევრი და მისი სოლისტი;

– სახელმწიფო კამერული გუნდის რეჟისორი და სოლისტი:

– სამების საკათედრო ტაძრის მგალობელი, ჯაზ-სექტეტის წევრი.

მუსიკალური განათლება: ქ. რუსთავის მე-4 მუსიკალური სასწავლებელი; მუსიკალური ტექნიკუმი (აკადემიური გუნდის დირიჟორის სპეციალობით); ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (იგივე განხრით, 2007 წ.); ასევე, მიკუთვნებული აქვს ბაკალავრისა და მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

“მოხარული ვარ, რომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მომცა საშუალება, ჩემეული ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო მომავალ თაობას. ვფიქრობ, ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობა ჩვენი ქვეყნის საგანძური და ერთგვარი სავიზიტო ბარათია”! – სადღეისოდ ასეთი გახლავთ ლოტბარ-რეგენტი თორნიკე მერაბიშვილის პროფესიული ოსტატობით გაჯერებული მთავარი განაცხადი!

✦ როგორ იწყებოდა:

2022 წლის აპრილის დასაწყისში “ბასიანის” სოლისტები – თორნიკე მერაბიშვილი, გიორგი მექვაბიშვილი, ზურაბ მამუკელაშვილი, ირაკლი ტყვაცირია, ზვიად მიჩილაშვილი და ვანო დვალიშვილი ქ. კასპის პირველ საჯარო სკოლას ესტუმრნენ.

ცხადია, ამგვარი სტუმრობის მოსურნე და მოთავე ახალი ლოტბარ-რეგენტი იყო. მანამდე თორნიკე მერაბიშვილმა და მისმა ანსამბლელმა მეგობრებმა კასპის ყველა საჯარო სკოლა შემოიარეს და მოსწავლეებს სალოტბარო სკოლის თაობაზე ესაუბრნენ. ამდენად, პირველში მათი სასცენო წარდგინება სამომავლო ახლობლობას ნიშნავდა: – აი, ვინ ვართ ჩვენ, ვისაც ჩვენთან ერთად მღერა-გალობა სურს, სიამოვნებით.

ყველანაირ სარეკლამო საუბარზე ეფექტური გამოდგა ჩვენება ფილმისა, რომელიც ასახავდა სალოტბარო სკოლების ყოველწლიურ ფესტივალს – “მომავლის ხმები” და ის კონცერტი, თვითონ ბასიანელებმა რომ გაუმართეს კასპელ ახალგაზრდობას. ამიტომაც იყო, რომ პროფესიონალთა კონცერტში ექსპრომტად ჩაერთვნენ სკოლის მოსწავლეებიც (მარიამ ბერიანიძე, ნინო შერმადინი) და პედაგოგებიც (თამარ პავლიაშვილი, თეა შაველაშვილი), ასევე, ჩვენებური მუსიკოს-შემსრულებელი მიხეილ ქოსაშვილი.

✦ გაკვეთილი ქვათახევის მონასტერში:

თორნიკე მერაბიშვილი თბილისიდან კვირაში ორ დღეს გაკვეთილებს უტარებს აქაურ გოგო-ბიჭებს. სულ ორიოდე თვის გაკასპელებული იყო, მათთვის სამგზავრო სამარშრუტო ტაქსი დაიქირავა და ისინი ექსკურსიაზე წაიყვანა ქვათახევის მონასტერში, ცხადია, იქაურობის შთამბეჭდავი სანახების სახილველადა და, ასევე, ერთმანეთის “გასაცნობად”, უფრო სხვა გარემოში,

დასასრული გვ-4.

“გვიმღერია, როგორც ვიმღერით ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა”

დასასრული. დასაწყისი გვ3.

ვიდრე კასპის სამუსიკო სკოლის შენობის დარბაზია, შიდა სივრცეთა გასაცნობად და, ჰო, კიდევ, დასამეგობრებლად, თანამოაზრეთა გუნდის შესაქმნელად, საჩვენებლად იმისა, აბა, ვინ ხართ თქვენ, ბუნების წიაღში, მონასტრის გუმბათქვეშ სასიმღერო-საგალობლად მოწადინებულნი, რომ ასეთ გაკვეთილს სხვა დატვირთვა აქვს: შემოქმედებითი ბიძგისა და მუხტის მომცემი ხდება და, კიდევ, რაღაც უფრო მეტის მომცემია, შენს გონიერში იწმინდება და ასეთ გარემოში როცა მღერი, როცა მგალობლობ, უფრო იოლად მაღლდები ზეცაში, უფრო სიმსუბუქის სილბოს გრძნობ და თვით უფალი გმფარველობს, მიგიღო მონასტრის ეზოში და ის იქ უნდა დაინახო, თუნდაც თბილისელი ახალგაზრდა დირიჟორის სახით, რომელიც უკვე შენი უფროსი მეგობარი გამხდარა და იგივეს მოითხოვს შენგან, მისნაირად გიყვარდეს არჩეული გზა...

კულტურის მინისტრი — კასპის სალოტბარო სკოლის სტუმარი:

2023 წლის 18 ნოემბერს სკოლას საპატიო სტუმარი ეწვია დედაქალაქიდან. საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, შიდა ქართლში მოქმედი სალოტბარო სკოლების გაცნობა-დათვალიერების ერთიანი პროგრამის ფარგლებში, ლეხურისპირა ქალაქშიც იმყოფებოდა.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგი ქალბატონ მინისტრს საზეიმოდ შეხვდნენ სამუსიკო სკოლის შენობაში (ისინი აქ დროებით ბინადრობენ, კასპის კულტურის ცენტრის შენობაში განახლებითი სამუშაოების მიმდინარეობის გამო). სტუმარმა მოინახულა და პირადად გაესაუბრა სალოტბარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგს, ბავშვთა მშობლებს, სამუსიკო სკოლის პედაგოგებს. ასევე დაინტერესდა მათი საქმიანობით, საგუნდო შემოქმედებითი მზაობის დონით, სხვა საჭიროებებით... მერე კი დიდი კონცერტი გაუმართეს.

საქმიან დიალოგებში მონაწილეობდნენ, ასევე, ქალბატონი მინისტრის თანმხლები პირები: ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე (სახელმწიფო ანსამბლი “ბასიანის” ხელმძღვანელი) და მისივე მოადგილე გიორგი გაბუნია.

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, როგორც დამხვდურთაგან უფლებამოსილი პირი, მასპინძელი მხარის სახელით საპატიო სტუმარს დაპირდა:

— 2024 წლის გაზაფხულის ბოლოდან კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებს მეცადინეობის გაცილებით უკეთესი პირობები შეექმნებათ. საქმე ისაა, რომ კულტურის ცენტრში მიმდინარე განახლების სამუშაოები გასრულდება და სკოლა ჩვეულ ადგილს დაუბრუნდება!

მართლაც, მერის დანაპირების ასრულებამდე სულ მცირე ხანია დარჩენილი.

✦

სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა აქტივობები:

სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების ერთგვარი შემოწმება და დათვალიერება ყველაზე ფართო სახით 2023 წლის 23 დეკემბერს მოხდა საახალწლო ღონისძიებაზე.

ფრიად გადატვირთულია მიმდინარე წლის სალოტბარო აფიშა.

— 3 მარტს მოსწავლეები ეწვივნენ ქ. კასპის სათნოების სახლის მობინადრე ხანდაზმულ და მიუსაფარ ქალბატონებს და მათთვის საგანგებოდ იმღერეს;

— 13 აპრილს ისინი სოფელ კავთისხევში იმყოფებოდნენ და მონაწილეობდნენ დედაენის დღისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მუსიკალურ წარმოდგენაში “ქართული გენის დღესასწაული”. მათ შეასრულეს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის მცხოვრებთა დამახასიათებელი მრავალხმოვანი სიმღერები და საგალობლები. ნიშანდობლივია, რომ ისინი გახდნენ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებისა და კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დიპლომანტები;

— 22 აპრილს სტუმრობდნენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, სადაც შეასრულეს ხალხური სიმღერა “წუთისოფლის სტუმრები ვართ” (სოლისტი ლუკა აღდგომელაშვილი);

— 25 აპრილს საგანგებო მისიით ესტუმრნენ ქ. კასპის პირველ საჯარო სკოლას. იმდღევანდელი შეხვედრა გასცდა ერთი რიგითი საჩვენებელი მუსიკალური ღონისძიების ფარგლებს. საქმე ისაა, რომ იგი მოიაზრებოდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლებისა და ქ. თბილისის გალობის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში და ორგანიზატორებმა მისი განხორციელება დაიწყეს ქ. კასპიდან.

შეხვედრას უძღვებოდა კასპის სალოტბარო სკოლის ლოტბარ-რეგენტი თორნიკე მერაბიშვილი. მის მონაწილეთა და დამსწრეთა წინაშე (სკოლის სააქტო დარბაზი მთლად სავსე იყო ახალგაზრდობით!) წარმოდგა გალობის უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი რუსუდან თაბაგარი. მან ისაუბრა ასეთი სახისა და მიმართულების უმაღლესი სასწავლებლის დანიშნულება-მოწოდების, მისიის, სწავლებისა და იქაური პროექტების თაობაზე.

საინტერესო სასაუბრო თემებით გამოვიდნენ უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები ელენე შუბითიძე და ბეთქილ გვიჭიანი...

✦

სამადლობელი მშობლის ბარათიდან:

“დიდი მადლობა, მინდა, გადავუხადო უბადლო პედაგოგს თორნიკე მერაბიშვილს იმ დიდი შრომისა და სიყვარულისათვის, რაც ჩემი ლუკას მიმართ გასწია... მადლობა ბიჭის ბედნიერი სახისა და მოციმციმე თვალებისათვის. გვეამაყებით, ბედნიერი ვართ, “ჩვენი პედაგოგი” რომ გქვიათ” — მშობელი თამილა პავლიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

ორი ჩვენებური — გრანდსლემებზე უმედლოდ...

“პარიზი — 24”-ის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებამდე სულ ცოტა დარჩა. მოუთმენელი გულშემატკივარი (და არა მარტო ისინი) უკვე დღეებს ითვლის, თუმცა, ფრიად საინტერესო შეჯიბრებები მანამდეც ზედიზედ წაება. აგერ, შუა მაისში (19-24) ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არაბულ აბუდაბიში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი. ქვემოთ ვისაუბრებთ სულ სხვა შეჯიბრებებზე, სადაც კასპელი მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ (ხოლო ის, საქართველოს საჭიდაო ნაკრები გუნდების შემადგენლობაში კასპელი მოჭიდავეები ევროპისა თუ მსოფლიო პირველობებზე, უკვე წლებია, აღარ ჩანან — არახალი ამბავია.

ეს იყო 2024 წლის 10-12 მაისს ქ. ასტანაში (ყაზახეთი) გამართული გრანდსლემი. იქ საქართველოს ნაკრებიც გამოვიდა. სწორედ ზემონახსენები მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გუნდის მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს ლიდერებს. ამიტომ ყაზახეთის გრანდსლემზე გამოსვლის შანსი შედარებით ახალბედებს დაუთმეს, ვინც პერსპექტიული ტალღის რიგებში მოიაზრება. იქ 7-კაციანი გუნდი გაიგზავნა. მათგან 2 — კასპის მუნიციპალიტეტის მოჭიდავეა: ბაქარ ერაშვილი (–90 კგ-ის კატეგორია) და ირაკლი დემეტრაშვილი (+100 კილოგრამი). აქვე შევნიშნავთ, რომ მანამდე, სულ ერთი კვირით ადრე, 5 მაისს ბაქარ ერაშვილმა იჭიდავა ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეს გრანდსლემზე. მისი გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა, პირველივე შეხვედრაში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელს დაუპირისპირდა და დამარცხდა.

სამწუხაროდ, მან ვერც ალმატიში გამოიჩინა თავი.

იქ შედარებით უკეთესად იჭიდავა ირაკლი დემეტრაშვილმა, რომელიც ახლოს იყო ბრინჯაოს მედლის მოპოვებასთან:

ჩვენებურმა ყაზახური ტატამის მერვედფინალურ შეხვედრაში სლოვენიელი მარინიჩი დაამარცხა იპონით, მეოთხედფინალში გზად გადაეყარა ტაჯიკ რახიმოვს და მასთან კი გაწბილდა. მის შემდეგ გადაერთო დამამშვიდებელ ეტაპზე და თუ უკრაინელ ბალიევსკის დაამარცხებდა, ბრინჯაოსათვის იჭიდავებდა, მაგრამ ვერც მისი ბარიერი დაძლია და, საბოლოოდ, მე-7 ადგილზე დარჩა.

(... რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც დასაწყისში ვახსენეთ, მისი პირველივე დღე დიდად წარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრებისათვის: მისი 20 წლის წევრი გიორგი სარდალაშვილი გახდა მსოფლიო ჩემპიონი -60 კილოგრამამდე კატეგორიაში. წინამდებარე გაზეთის ნომერს როცა ჩვენი მკითხველი მიიღებს, პირველობის საერთო შედეგები უკვე ცნობილი იქნება).

“კასპი—1936”: მეხუთე ლიგა - რას ნიშნავს ეს?

(განახევრებული პირველი წრის მიმოხილვა და სპორტულ-ტექნიკური შედეგები, სტატისტიკა, პერსონალიები...)

სატურნირო ცხრილი ნებისმიერი ლიგისა და დონის ფეხბურთის გუნდისათვის ნამდვილი სარკეა. მასში მისი ადგილმდებარეობა უტყუარი მაჩვენებელია და ასახავს მისსავე ლიდერობა-მაჩანჩალობას, პოტენციალს, რესურსს, მიზანს...

ჩვენც სატურნირო ცხრილით დავიწყოთ...

თუმცა, აჯობებს, რიტორიკული სათაურიდან მივყვეთ:

“კასპი–1936” — ასე ჰქვია ადგილობრივ საფეხბურთო გუნდს. დასახელებაში მოჩანს სადაურობაც და ისტორიული მომენტიც, კასპში თუ როდიდან აგორებენ ბურთს (ოფიციალურად!).

მეხუთე ლიგა — ესაც ქვეყნის საფეხბურთო პირველობის იერარქიული დონე! რომლის დაბლა სხვა ლიგა აღარაა და, თანაც, ამას ჰქვია: “რეგიონული” (თავისი ორი, “ა” და “ბ” ჯგუფით).

აი, აქ, რეგიონული ლიგის “ბ” ჯგუფში გამოდის ჩვენი გუნდი.

რას ნიშნავს ეს? — ცხადია, ფრიადოსნობას არა, თუკი ნუმერაციას მივიღებთ მხედველობაში. ორივე ჯგუფში 13-13 გუნდი გამოდის და მათი უმეტესობა თუ ვერა, ნაწილი მაინც, ოღონდ ყველა ვერა, ყოველწლიურად სეზონის სტარტზე ამოცანად ისახავს: გაიმარჯვოს, ანუ გაჩემპიონდეს ჯგუფში და მოიპოვოს წინა ლიგაში (ანუ მეოთხეში) გადასვლის უფლება. მომდევნო წელს იქაც გაიმარჯვოს და აღზევდეს მესამეში და ა. შ.

საამისო ფაქტის მოწმენი კასპელი ფეხბურთის მოყვარულები გახდნენ 2023 წლის საფეხბურთო სეზონში. მაგრამ უნდა გაგაწბილოთ, თუკი ვიტყვით, რომ ასეთი ნახტომი ჩვენმა გუნდმა კი არა, თბილისის “დიდუბემ” გააკეთა, რომელსაც საკუთარი სტადიონი არ გააჩნია და კასპის მოედანს ქირაობს. ეს საფეხბურთო კლუბი სწორედ ჩვენთან გამოდიოდა და, აგერ, როგორც ვხედავთ, კასპის სტადიონის “მწვანე ხალიჩა” ფეხბედნიერად (თუ ბურთბედნიერად?) დასცადა. “დიდუბე” წელს უკვე მეოთხე ლიგის ბინადარია და ისევ კასპში თამაშობს ნომინალურ მასპინძლად!

რას იქმოდა ჩვენი გუნდი წინა ოთხი სეზონის განმავლობაში? — სატურნირო მდგომარეობის დინამიკა, წლების მიხედვით, არასასურველია: ვერც საუკეთესოთა სამეულში და ვერც ხუთეულში ვერც ერთ წელს მოხვდა! პოტენციურ ლიდერად მოაზრებასა და საამისო მიღწევაზე რომ არაფერი ითქვას...

რას უქადის მეხუთე მცდელობა ლეხურისპირელი ფეხბურთელების გუნდს?

ჰოდა, აი, ახლა ჩავკრათ თვალი “კასპი–1936”-ის ადგილმდებარეობას მიმდინარე სეზონის სატურნირო ცხრილში:

განვლილია პირველი წრის ზუსტად ნახევარი, ანუ გუნდებმა აპრილ-მაის-ივნისში დაგეგმილი 12 ტურიდან უკვე გამართეს 6. კასპელებმაც ამდენი მატჩი მოითავეს და ახლა ზედ “ეკვატორული” საფეხური უკავია — მეექვსე ადგილზეა და მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს დუშეთის “არაგვი–2”-ის გუნდს, ეს მაშინ, როცა თვითონ 4 ქულით ჩამორჩება თბილისის “ვაზისუბანს”. მისი აქტივ-პასივი ასეთია: 6 თამაში: 2-2-2 მოგება, ფრე და წაგება. გატანილ-გაშვებული ბურთების უარყოფითი ბალანსი — 12:18-ზე და მხოლოდ 8 ქულა (შეგახსენებთ, მოგება ფასდება 3 ქულით, ფრე — ერთი და წაგება — 0 ქულით).

საინტერესოა, ვინც დაწინურებულთა ხუთეულშია და, ამდენად, მათი შედეგები ერთგვარი ორიენტირია კასპელებისათვის?

გათამაშებას მაქსიმალური შედეგით ლიდერობს ხაშურის “ივერია” (6-ვე გამარჯვება და 18 ქულა). ნიშანდობლივია, რომ მან მეხუთე ტურში სტუმრად მეტად პრინციპული მატჩი მოუგო თბილისის “სპაერი–2”-ს (2:0). ამ შეხვედრამ, შეიძლება ითქვას, მათი “სამკვდრო-სასიცოცხლო” ორთაბრძოლის ბედი ბევრად ნათელი გახადა, რადგანაც მატჩამდე სპაერელები ლიდერობის შანსს ინარჩუნებდნენ, უფრო იმის გამო, რომ მარაგში ერთი თამაში აქვთ, თვითონ მოიგებდნენ და 15 ქულას მოუყრიდნენ თავს, ივერიელები წააგებდნენ და მათაც 15 დარჩებოდათ. თბილისელებს ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი (26), ხაშურელებს კი 22. აი, გაშვებული გოლების მხრივ თანაფარდობით (5:5).

კასპზე წინ, როგორც ვთქვით, კიდევ 3 გუნდია, ხუთი გუნდიდან უკვე შეხვდა სამს — პირველადგილოსან ხაშურთან წააგო მშრალად — 0:2-ზე, თბილისის “იუჯი—35”-ს კასპში მოუგო ისე, რომ ახლა, თვითონ დაინარჩუნა კარი მშრალად — 1:0, ახალციხის “სამცხეს” დაუზავდა, ასევე, საკუთარ მოედანზე — 14 მაისს, 4:4—ზე, ხოლო ”სპაერი — 2"-თან პირწმინდად წააგო შინვე — 1:5.

გაზეთის ბეჭდვის გრაფიკიდან გამომდინარე. ახლა ვერაფერს გეტყვით მეშვიდე და მერვე ტურის შედეგებზე, როცა 21 მაისს გასვლითი თამაში უწევს სოხუმის “დინამოსთან”, ხოლო 27-ში შინ დაუხვდება თბილისის “ნორჩ დინამოს”. არ უთამაშია ხუთეულის მხოლოდ ერთ გუნდთან — თბილისის “ვაზისუბანთან”, რომელსაც შინ მიიღებს 10 ივნისს. ესაა სწორედ ის მეტოქე, 4-ქულიანი სხვაობით მასზე წინ რომ ზის ერთი საფეხურით.

მიეცემა თუ არა ერთგვარი შეღავათი ივლისში, როცა პირველი წრის ბოლო თამაშები ელის სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაშვებულ გუნდებთან? ივლისი და მაის-ივნისის შემდგომო!

ზემოთ ითქვა, რომ 6 ტურში კასპელებმა მეტოქეთა კარი 12-ჯერ დალაშქრეს, საკუთარი კი 18 შემთხვევაში ვერ დაიცვა. რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ ყოველ თამაშში გაჰქონდა, საშუალოდ, 2 გოლი და მოწინააღმდეგეს კი 3-ს ატანინებდა. კარი მხოლოდ ერთ მატჩში დაინარჩუნეს მშრალად: მეოთხე ტურში “იუჯი—2”-ის წინააღმდეგ თამაშისას. საინტერესოა, რომ ამ გუნდმა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი კასპში განიცადა, 2 გამარჯვებისა და ერთი ფრის შემდეგ, რასაც კიდევ 2 გამარჯვება მიუმატა.

გატანილი გოლების რაოდენობით “კასპი—1936” წინა ხუთივე გუნდს ჩამორჩება, ქვემოთ მყოფთაგან კიდევ ორს და მხოლოდ ახალქალაქის “აბულს” ეთანაბრება, რაც 12 მეტოქეში მე-8-9 შედეგია.

6 თამაშიდან მხოლოდ ერთში ვერ გაიტანა და ერთშიც არ გაუშვა.

ორივე გამარჯვება ზედიზედ მოიპოვა: ჯერ შინ (“იუჯი—2”-თან 1:0) და მერე კი გასვლაზე (თბილისის “გლდანთან”, 2:1) — მეოთხე და მეხუთე ტურში. თუმცა, მანამდე მარცხიც მიყოლებით განიცადა: აქაც ჯერ შინ (1:5 “სპაერი—2”-თან) და მერე ხაშურში 2:0 (მეორე და მესამე ტურში).

***

მეექვსე ტურის თამაში 14 მაისს კასპში ჩატარდა. ახალციხის “სამცხე” სერიოზული განაცხადით გვესტუმრა, მხოლოდ გამარჯვება ეწადა და, ასეთ საუკეთესო შემთხვევაში, მეორე ადგილს უმიზნებდა. განზრახვა არც დაუმალავს. მატჩის დაწყებისთანავე დაეუფლა მოედნის მთლიან სივრცეს და თვითონ აკონტროლებდა ორივე ნახევარს. თითქოს ახლოსაც იყო პირველ წარმატებასთან, მაგრამ მე-7 წუთზე მასპინძლებმა მოხერხებულად გათამაშებული კონტრშეტევა შედეგიანად დაასრულეს: გოლი “სამცხის” კარში მიხეილ მუმლაურმა (№9) შეაგდო.

მესხეთელებს ცივი შხაპი გადაესხათ, მაგრამ ძალისმიერი თამაში გააგრძელეს, ვითომ არც გოლი გაეშვათ, ვითომ არც ნამდვილ წვიმას იმჩნევდნენ, რომელიც მატჩის დაწყებისთანავე წამოვიდა. მათი შეტევები გაგრძელდა და ერთ მოულოდნელ შემთხვევაში ...მათი დაცვა ისევ ჩავარდა და პენალტი დაინიშნა. იგი ზვიად გურასპაშვილმა გარდასახა და კაპიტანმა მე-15 წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

პირველივე ტაიმში სტუმრებმა მაინც შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, მაგრამ მის დასრულებამდე კასპელებმა მესამე გოლითაც იხეირეს (ლევან ტატანაშვილი). ამრიგად, პირველი ტაიმი — 3:1.

დაძაბული გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარიც. საკმარისია ითქვას, რომ ანგარიში ასე იცვლებოდა: 3:2, 3:3, 4:3, 4:4... როგორც ვხედავთ, გამარჯვებას ვერა და სტუმრებმა მატჩის ფრედ დამთავრება და კასპიდან ერთი ქულის წაღება მაინც მოახერხეს (აკი, მეორე ნახევარში მათაც იგივე ანგარიშით იყოჩაღეს, როგორითაც პირველში — მასპინძლებმა).

14 მაისის მატჩი “კასპი—1936”-მა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 12. ტატო მიდელაშვილი, 18. მიხეილ ხორბალაძე, 6. დავით ტერმაკოზაშვილი, 2. ზურაბ ხვადაგაძე, 8. საბა ნონიაშვილი, 34. ზვიად გურასპაშვილი, 5. ნოდარ მერებაშვილი, 17. გიგა ჩარაევი (14. გიორგი გიგაური), 49. ლევან ტატანაშვილი, 13. გიორგი აბალაკი, 11, ზეზვა გოჭოშვილი, 9. მიხეილ მუმლაური (53. გიორგი კობერიძე). თადარიგში იყვნენ, ასევე, ნიკა კაციაშვილი (16) და ავთანდილ ბეინაშვილი (20). (მთავარი მწვრთნელი — გიორგი დაბრუნდაშვილი, მოთამაშე-მწვრთნელი — ბექა დაბრუნდაშვილი, გუნდის ექიმი — გიორგი მეტრეველი).

თამაშში მსაჯმა გააფრთხილა კასპელი სამი ფეხბურთელი: ზვიად გურასპაშვილი (პერსპექტიული შეტევის ჩაშლისათვის), ზურაბ ხვადაგაძე (უხეშობისათვის) და ნოდარ მერებაშვილი (მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისათვის).

რამდენიმე სიტყვა წინა თამაშებში გატანილი გოლების ავტორების თაობაზე:

პირველივე ტურში გუნდმა პირველ საბრძოლო ფრეს მიაღწია გაგრის “დინამოსთან” (2:2) და ორივე გოლი საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა ლეგიონერმა ზურაბ ხვადაგაძემ. ის ამპლუით მცველია. გუნდში შარშანაც გამოდიოდა, შეეწყო და საიმედო მოთამაშედ ითვლება.

მეორე ტურში “ნუგეშის გოლი” “სპაერი—2”-თან დიდანგარიშიანი სხვაობით წაგებულ მატჩში საბა ნონიაშვილს ეკუთვნის.

რამდენადმე გასაკვირია, მაგრამ მესამე ტურში, ხაშურის თამაშში, პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს: საჯარიმო დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა ზვიად გურასპაშვილმა (გამოიმუშავა ბექა დაბრუნდაშვილმა) და ტაიმსაც იგებდნენ, მაგრამ ზედ მიწურულში ხაშურელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ასეთ გოლს “გასახდელში გატანებულს” ეძახიან. მეორე ტაიმი ერთი გუნდისა იყო: “ივერია” დაფრინავდა, “კასპი–1936” მოედანზე დარჩა.

დასასრული გვ8.

თავისუფალი ჭიდაობა

"ორთაბრძოლაში უპირატესობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე სასურველი შემოტრიალება"

(ბლიცინტერვიუ გოდერძი ძებისაშვილთან)



— გოდერძი, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ოლიმპიელობას. ეს ყველა მოჭიდავისათვის სანუკვარი ოცნებაა, გულით სანეტაროდ სატარებელი, სხვათათვის ლამის გაუმხელელი. ყოჩაღ, შენ!

— მადლობას მოგახსენებთ.

— მოდი, დავიწყოთ თავიდან. მოჭიდავეობა როდიდან გადაწყვიტე?

— როგორც მახსოვს, თერთმეტი-თორმეტი წლისა დავინტერესდი ჭიდაობით. პირველი დღიდან მოყოლებული დღემდე ქალაქ გორში ვვარჯიშობ.

— ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი? მამა?

— კი, მამამ მირჩია. მანვე წამიყვანა გორში. იქ გავიცანით თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი. და დავიწყეთ. და მას შემდეგ ერთად მოვდივართ.

— წარმოგვიდგინე შენი მწვრთნელის ვინაობა.

— მას არკადი ხინჩიკაშვილი ჰქვია. არაერთი მოჭიდავე გამოუზრდია. ერთის დასახელებაც კმარა — ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩიგაშვილი.

— მამაც ხომ არ ჭიდაობდა ადრე?

— მხოლოდ მოყვარულის დონეზე, სპორტის თითქმის ყველა სახეობით ინტერესდებოდა.

— შენი პირველი გამარჯვება თუ გახსოვს?

— მახსოვს, ვარჯიშის დაწყებიდან ერთ წელში ქ. სიღნაღში ჩატარდა გურამ საღარაძის ტურნირი. იქ ვიჭიდავე კარგად. მწვრთნელმა პირველად შემაქო.

— დღემდე ვინ რჩება (თუ რჩებიან) შენს ყველაზე თავგამოდებულ და გულმხურვალე გულშემატკივრებად?

—ყოველთვის ისინი, ვინც გვერდში მიდგანან. პირველ რიგში, მშობლები, ჩემი სამი და და ორი ძმა. ასევე, ჩემი სამეგობრო წრე.

— როგორ, ოჯახში ექვსი დედამამიშვილი ხართ?

— დიახ, ასეა. მე ნაბოლარა ვარ.

— ვინ არიან შენი მშობლები?

— ისინი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო რენეში ცხოვრობენ, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დამუშავებით ინახავენ დიდ ოჯახს. თუმცა, ახლა მათ გვერდით მეღა დავრჩი. ჩემ უფროს და-ძმებს თავიანთი ოჯახები აქვთ.

— ძმებსაც ხომ არ უჭიდავიათ?

— არა.

— საჯარო სკოლა როდის და სად დაამთავრე?

— 2018 წელს დავამთავრე სოფელ ნიგოზას სკოლა. მშობლიური სკოლის პედაგოგებს თავი უფრო სპორტის სიყვარულითა და სპორტული მონაცემებით დავამახსოვრე, ვიდრე კარგი სწავლით.

— შენით ყველაზე მეტად, ალბათ, გორის ნუგზარ სხირელის საჭიდაო სკოლის ხელმძღვანელობა იამაყებს. როგორ დაგხვდნენ და მიგიღეს საჭიდაო დარბაზში?

— ოვაციებით, მხურვალე მილოცვებით. შემდეგ მიმიწვიეს გორის სპორტის ახალ სასახლეში. ადგილობრივმა ტელევიზიამ მოამზადა სპეციალური სიუჟეტი.

— პარიზული საზაფხულო ოლიმპიადისათვის მზადებაზე რას გვეტყვი?

— 24 აპრილიდან გადავედით მზადების გაცხოველებულ ეტაპზე. სავარჯიშო-საწვრთნელი შეკრების ადგილადკურორტი ბორჯომია შერჩეული.

***

— კასპში ჩიტმა ამბავი მოიტანა: შეკრების მეორე-მესამე დღესვე გოდერძიმ ტრავმა მიიღო. სერიოზული ხომ არაფერია, მთელი მოლოდინი ყირამალა რომ დააყენოს?

— არა, საშიში არაფერია. "ამერიკულ ჰოსპიტალში" ოპერაცია ჩამიტარა ქირურგმა გიორგი ობგაიძემ და უკვე კარგად ვარ. რეაბილიტაციის კურსის გავლა მიწევს, 13 მაისიდან სოფელში ვისვენებ. ერთ თვეში ისევ გავალ ლეიბზე... ვნახოთ, ვნახოთ...

სურათებზე: გოდერძი ძებისაშვილი (მარცხნივ). "პარიზი — 24"-ის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი ელგუჯა ბერიშვილი (ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი) და ჩვენი ლიცენზიანტი.

ბატონი ელგუჯა წლევანდელ 5-8 აპრილს თან ახლდა ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) გამართულ გრანპრიზე მოასპარეზე საქართველოს ნაკრებს. გოდერძი ძებისაშვილის ბაქოური წარმატება მან ასე შეაფასა: "ქართველი მოჭიდავეებიდან სასიამოვნოდ გაგვაოცა გოდერძი ძებისაშვილმა. მან დღეს საკუთარ შესაძლებლობებსაც კი გადაამეტა, ნამდვილი ხასიათი გამოავლინა".

ვნახოთ ...

გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული საიტის ფოტოები.

სპორტ INFO

თეზელებმა საჭიდაო აღდგომის სწორზე დააჭაშნიკეს

ამ სოფელში, ტრადიციულად, ასე ხდება: თეზელები კვირაცხოვლობას აღდგომიდან კვირისთავზე იყენებენ, თანაც, დღეობის კვირადღე თუნდა აპრილში უწევდეს, თუნდა მაისში, საჭიდაო ზეიმსაც, უთუოდ ზედ დაურთავენ ხოლმე.

ასეა, უკვე, ათწლეულებია. ასე იყო შარშანაც, როცა 23 აპრილს გააწყეს ქართული ჭიდაობის ღია ტურნირი. ასე მოხდა წელსაც, 12 მაისს, ერთი კია, წლევანდელმა ცივმა, ქარიანმა და ხშირწვიმიანმა მაისმა კინაღამ კორექტივები შეიტანა ორგანიზატორთა ჩანაფიქრში. 12 მაისის დილითაც წვიმდა და ვერ გადაეწყვიტათ, ჩაეტარებინათ თუ გადაედოთ გამოდარების იმედად. ძალს ბუნება იყო, ძალს — ამ საქმის მოთავენი. კიდევ კარგი, დღის 11-12 საათამდე გამოიდარა, ციდან მზემაც შეათბო დედამიწელები... და, გადაწყდა: თეზში ჭიდაობა ჩატარდება! როგორც — აქამდე, ახლაც — ისევე!

ზენაარმა ინება და გაიმართა მშვენიერი ჭაბუკური ასპარეზობა ნახერხიან წრეში (წვიმით დამბალი სახელდახელოდ აჩეჩეს კიდეც), სოფლის კვირაცხოვლის ეკლესიის ფერდობის ძირში, გზის პირასვე, საუკუნოვანი აკაკის ხის მახლობლად...

მანამდე შინ თუ გზადაგზა შეყოვნებული მონაწილეობის მსურველებიც უმალ გამოჩნდნენ საჭიდაოზე. შერკინებათა ნახვის გულშემატკივარიცა და სეირის მაყურებელიც საკმარისად შეიკრიბა.

წონებში გამარჯვებულ-გაპირველებულებიცა და მეორე-მესამე ადგილებზე გასულებიც ხომ დაჯილდოვეს დიპლომ-მედლებით და, აბა, ისე როგორ გაიშვებოდა, ეს ხომ უწესო იქნებოდა, მძიმეწონისნებში გაჩემპიონებულმა ხოვლელმა ყმაწვილკაცმა სულაც თეზური ცხვარი გაიყოლა მტკვარგაღმა მხარის სოფელში.

ფაქტი ფაქტად დარჩა: თეზელებმა ეროვნული ჭიდაობის ისტორიული ესტაფეტის რგოლი არ ჩაშალეს. ამიტომ იყო, ყველა ემადლიერებოდა ვეტერან ენთუზიასტსა და მწვრთნელს, კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მენეჯერს — იგოეთელ ალექსანდრე ხუციშვილსა და მის თანამოაზრეებს, დამხმარეებს. აკი ნათქვამია: — მარტოკაცი ჭამშიაც ბრალიაო! მაშ, საქმეში რაღა იქნება.

ქართული ჭიდაობა

ელგუჯა გეჯაძის მემორიალური

კასპის რაიონისა და მუნიციპალიტეტის ჭიდაობის ისტორიაში ელგუჯა (გუჯა) გეჯაძემ წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც მოჭიდავემ და მწვრთნელმა. იგი 8 წლის წინ, 2016 წლის იანვარში დაიღუპა ავტოშემთხვევის გამო.

მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მემორიალური ღია შეჯიბრება ა. წ. აპრილში ჩატარდა (დაბადებული იყო 1957 წლის 17 აპრილს). მასში მონაწილეობდნენ 2008-09 წლებში დაბადებული ჭაბუკები საქართველოს სხვადასხვა მხარიდან: კასპიდან, ხაშურიდან, ახალგორიდან, მესტიიდან, გორიდანა და მეჯვრისხევიდან; ადგილობრივი მოჭიდავეები თავიანთი სოფლების სახელით გამოვიდნენ (ახალციხე, აღაიანი, ზემო ხანდაკი, ლამისყანა, მეტეხი, დოესი, ხოვლე). ცხრა წონით კატეგორიაში 93 ჭაბუკი გაპაექრდა, ყველაზე მეტი (13-13) 50 და 66 კილოგრამიანთა წონაში გამოვიდა, ყველაზე ნაკლები (6) — 45-ში. ყველაზე მეტი მედალი (7) ხაშურელებმა ირგუნეს. კასპელმა ჭაბუკებმა მოიპოვეს 5 (ერთი პირველი და ორ-ორი მეორე-მესამე ადგილი), დოესელებმა და ლამისყანელებმა — 4-4, მეტეხელებმა — 3, საიდანაც ორი ოქროსია, ხოლო ახალციხელებმა — ერთი მედალი (თანაც, ოქრო!).

... აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ადრესატის მეგობრების სახელით დაწესებული სპეციალური პრიზი (დიდი თასი) გადასცეს მეტეხელ ყმაწვილკაცს, 40 კილოგრამის გამარჯვებულ გიორგი მანჯავიძეს.

მასაცა და ყველა ჩემპიონ-პრიზიორს სპორტგაერთიანების დირექციის (დირექტორი შოთა გოგიაშვილი) მიერ დაწესებული მედლები და დიპლომები გადასცეს ცნობილმა მოჭიდავეებმა და ვეტერანებმა, ამაგდარმა და მოქმედმა მწვრთნელებმა: იოსებ მაღალაშვილმა, ნუგზარ მამულაშვილმა, ზელიმხან ილურიძემ, ბადრი ჯანიაშვილმა, პაატა ტაბატაძემ, იოსებ მამულაშვილმა, ალექსანდრე ხუციშვილმა, ჯემალ ხორბალაძემ, ასევე, ელგუჯა გეჯაძის ვაჟიშვილმა პაატა გეჯაძემ.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

თოგოიანის მისასვლელი გზა

კასპის მუნიციპალიტეტის სამთავისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თოგოიანში მისასვლელ გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის სამუშაოები განხორციელდა. პროექტის ფარგლებში შპს "ჩაგელა-"მ 1075 მეტრი გზა მოაწყო.

სოფლის მისასვლელი გზა ასფალტირებული არასოდეს ყოფილა. დაგებული ორფენიანი ასფალტი კი მოსახლეობის კომფორტულ გადაადგილებას უწყობს ხელს.

მაღალმთიანი სოფელი გუდალეთი

მაღალმთიან სოფელ გუდალეთში მისასვლელ საავტომობილო გზაზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

აღნიშნული გზა გაუვალი, ამორტიზებული იყო და მოასფალტებული არასოდეს ყოფილა.

გზაზე გადაადგილება საფრთხის შემცველი განსაკუთრებით ზამთარში იყო და აუცილებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

5 818 გრძივი მეტრი გზის სამუშაოები მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

რა გავაკეთეთ?



სოფელ კალოუბანთან მისასვლელი გზა

კასპის მუნიციპალიტეტში ზემო ხანდაკი - ხოვლეს - ადგილობრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფელ კალოუბანთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო 1500 მეტრი სიგრძის გზა, რომელზეც აქამდე ასფალტი არასდროს ყოფილა.

ადგილობრივ მოსახლეობას გზის რეაბილიტაციამდე გადაადგილება გრუნტიანი გზით უწევდა. პროექტის დასრულებამ კი უზრუნველყო მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით სარგებლობა.

სოფელ ალაიანის და გოზალოღლების მისასვლელი გზა



სოფელ ალაიანში ორ ეტაპად განხორციელდა 3219 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია.

მისასვლელი გზა კეთილმოეწყო სოფელ გოზალოღლებშიც.

ალაიანსა და გოზალოღლებში მისასვლელი გზები გადაადგილებისას არაკომფორტული იყო, როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ტრანსპორტისთვის.

ამჟამად ორივე სოფლის მოსახლეობა მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობს, რომლის სამუშაოები შპს "ქვენიფლენმა" განახორციელა.

სოფელ ოკამში

სოფელ ოკამში 296 მეტრი სიგრძის გზის ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყო.

აღნიშნული გზა, რომლითაც სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარგებლობს, დაზიანებული იყო და გადაადგილებისთვის არაკომფორტული.

გზის რეაბილიტაციის სამუშაო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ბესკო"-მ ჩაატარა.

გამდლისწყაროში მისასვლელი გზა

სოფელ გამდლისწყაროში 1 243 გრძივი მეტრი მისასვლელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარი მოეწყო.

გზის სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ქვენიფლენ-"მა განახორციელა.

სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, აღდგენილი გზით სოფელი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო ჩქაროსნულ მაგისტრალს უკავშირდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სოციალური პროგრამაც ოვრგლებში

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ 376 ოჯახს მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური პროგრამის ფარგლებში საღდგომო ნობათი გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ მეტეხის და თელიანის დევნილთა ჩასახლებაში იმყოფებოდნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლები დევნილთა ოჯახებს შეხვდნენ, სააღდგომო ნობათი მიუტანეს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს.

გილოცავთ!

მან შეძლო ბევრის მნახველი რედაქციის გაოცება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, ნანი ღვინიაშვილი ნლების განმავლობაში დაბადების დღეს ულოცავს ყოფილ მოსწავლეებს. ასეთი გაზეთში არ გამეორებულა.

ბატონებო, რას იგრძნობდით, თქვენს პედაგოგს რომ მოელოცა დაბადების დღე?

ჩვენი ძვირფასო, ნანი მასწავლებელო, მშვიდი ბუნებით, ეროვნული პოზიციით, ქართული გულით დღემდე რომ ცხოვრობთ, ძალიან გვამხნევებთ, გვეიმედებით და გულით გვიყვარხართ.

გილოცავთ დაბადების დღეს! სამშოლოს ბედნიერი მომავლის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! გვიგულეთ თქვენს გვერდით!

ნანა მერებაშვილი.

„ყაბპი - 1936„ მეხუთე ლიგა - რას ნიშნავს?

დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-5.

მეოთხე ტურში კასპში "იუჯის" გუნდთან პენალტი შეირგო ბექა დაბრუნდაშვილმა (პირველი ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე).

მეხუთე ტურის გასვლითი მატჩი "გლდანთან" თბილისში "ამერის" ძველ მოედანზე ჩატარდა. საწყისი უპირატესობა კასპელებმა მოიპოვეს და დაახლოებით მე-20 წუთისათვის დაწინაურდნენ კიდეც (მიხეილ მუმლაური). შემდეგ გარდამავალი შეტევებით წარიმართა და კიდევ გავიდა ორი გოლი. აქედან ერთი – სტუმართა კარში (შემთხვევითის კატეგორიისა), მაგრამ მათ ფარ-ხმალი არ დაყარეს და მალევე ისევ დაწინაურდნენ (ზეზვა გოჭოშვილი).

ახლა სტუმრად გამარჯვების მომტან მეგოლეებზე:

მიხეილ მუმლაური გუნდში რაც ირიცხება, მე-4 წელია და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა. ზეზვა გოჭოშვილი კი შარშანდელი შუა სეზონიდან გამოჩნდა კასპელთა შემადგენლობაში და, დებიუტანტის კვალობაზე, მნიშვნელოვან ძალად წარმოჩნდა.

მეექვსე ტურში სწორედ გოჭოშვილი იყო კასპში "სამცხესთან" ჩატარებული ძნელი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, ორი პენალტიც სწორედ მის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დაინიშნა, რაც თანაგუნდელებმა გოლებად აქციეს. მასპინძელთაგან ამავე მატჩში საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ მეკარე ტატო მიდელაშვილი (მის შესახებ ახლო მომავალში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ).

საინტერესოა, რომ გუნდმა გარეთ გამართა კენტი ტურები: პირველი (ფრე), მესამე (წაგება) და მეხუთე (მოგება), შინ კი – ლუწი ტურები: მეორე (წაგება), მეოთხე (მოგება) და მეექვსე (ფრე).

პ.ს.: აი, მეშვიდე ტურის თამაში თბილისში სოხუმის "დინამოსთან" დამთავრდა ანგარიშით: 4:3 კასპელთა სასარგებლოდ.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 79 წელი გავიდა

ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ღონისძიების შემდეგ სოფელ ახალქალაქში ომის ვეტერანს, 100 წლის შალვა გოჩიტაშვილს ესტუმრნენ და გამარჯვების დღე მიულოცეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ შალვა გოჩიტაშვილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1000 ლარით დაასაჩუქრა.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა ომის ვეტერანს ვეტერანთა საქმეების სამსახურის საჩუქრები გადასცა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებმა - 2000 ლარი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა 1000 ლარი მიიღეს.

ხალოკალოჯის ცხელოვნებათ ცოლოსთან ერთიბული

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, სოფელ ახალქალაქის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ხატვის წრის მოსწავლეების ნამუშევრების პირველი გამოფენა გაიმართა.

ხატვის უფასო წრე, რომელსაც პედაგოგი ნატალია წიკლაური ხელმძღვანელობს, 6 წელია ფუნქციონირებს და ამჟამად 47 მოსწავლე ეუფლება ხატვის ხელოვნებას.

ნახატების გამოფენა მიმდინარე თვის ბოლომდე გასტანს.

გაზეთი „ახალი გათიადი„ თანაგრძნობას უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორს ეთერ ჩადუნელს მეუღლის, ღვაწლმოსილი ექიმის

ნოდარ სუხაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორს ეთერ ჩადუნელს მეუღლის

ნოდარ სუხაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76